სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 18 აპრილი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, თორნიკე ბაქრაძე, რაისა ლიპარტელიანი, ნათია კორკოტაძე, როინ მიგრიაული, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 1. 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ზაზა დიასამიძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი (რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი ცნობით) და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, განმცხადებელი ითხოვდა 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლებას.

(ბ) ინგა აღდგომელაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არის მრავალშვილიანი მშობელი (წარმოდგენილია 5 არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის ასლები). განცხადებაში მითითებული იყო, რომ ოჯახი იმყოფებოდა რთულ

მატერიალურ მდგომარეობაში. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, განმცხადებელი ითხოვდა 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე, პირის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე. ისინი მიზანშეწონილად თვლიან ზაზა დიასამიძის და ინგა აღდგომელაშვილის განცხადებებში მითითებული გარემოებების გათვალიწინებით, გამონაკლისის სახით განმცხადებლებს დაუკმაყოფილდეთ მოთხოვნები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- **დაკმაყოფილდეს ზაზა დიასამიძის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;**
- **დაკმაყოფილდეს ინგა აღდგომელაშვილის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;**
- **მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოშია (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე